



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

## მედიის ქვეჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 3 ივნისი, 2020 წელი

დრო: 14:00 – 16:00 საათი

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლიბერალური აკადემია თბილისი - ლაშა ტუღუში
2. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი - ნათია კუპრაშვილი
3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - ნიკა სიმონიშვილი
4. ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
5. მედიის განვითარების ფონდი - მარიამ პატარიძე

## განსახილველი საკითხები:

1. მედიის ზოგადი მდგომარეობა და კოვიდით გამოწვეული პრობლემები ბრიუსელში პირველი ჯგუფის 8 ივნისის შეხვედრისთვის მოსამზადებლად
2. კოლეგებთან აზრების გაზიარება და იდეების გაცვლა ფორუმის პირველი ჯგუფის შეხვედრაზე შემოთავაზებულ თემაზე " ინსტრუმენტები , პროგრამები და სხვა შესაძლებლობები ადგილობრივი და მცირე მედია ორგანიზაციების გადასარჩენად კოვიდ 19 -ის პანდემიის პირობებში.
3. რადიო სექტორის , როგორც პანდემიის პირობებში ყველაზე მოწყვლადი სექტორის პრობლემების მიმოხილვა . კომუნიკაციების კომისიის მიერ, რადიოსექტორისთვის დამანგრეველი შედეგების გამომწვევი ახალი რეგულაციების შემოღების მცდელობა.

მედიის ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა, ნათია კუპრაშვილმა, რომელიც მედიის ქვეჯგუფის წევრია. თავდაპირველად მან ისაუბრა მედიაში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე. ასევე მოკლედ მიმოიხილა Covid-19-ის პანდემიით გამოწვეულ პრობლემებზე, რომელსაც მედიის წარმომადგენლები აწყდებოდნენ თავიანთი პროფესიული საქმიანობის შესრულების პროცესში. მან ასევე ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც მედიის ყველა სფეროს ეხება, როგორც ტელევიზიებს, ისე ბეჭდურ მედიასა და რადიოებს. ნათია კუპრაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული პლატფორმის როლი ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესში. ფორუმში გამართულ შეხვედრაზე მან ისაუბრა მედიაში არსებულ გამოწვევებზე და მათგან დიდი ინტერესი მოყვა ამ საკითხის განხილვას. მედიის წარმომადგენლების მიერ შემუშავდება მოკლე დოკუმენტი, რომელიც აღწერს არსებულ ვითარებას და რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება რეკომენდაციების ნაწილიც. შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს რეგიონულ ტელევიზიებში არსებულ კრიზისებზე. მნიშვნელოვანია გადაიხედოს საგადასახადო პოლიტიკა მცირე ბიუჯეტის მქონე მედია საშუალებებისთვის.

რადიოებში არსებულ ვითარებასა და პრობლემებზე ისაუბრა, მაკა ჯახუამ. მან აღნიშნა, რომ რადიოებშიც არსებობს პრობლემები, რომელიც უკავშირდება საგადასახადო პოლიტიკას. ევროპარლამენტარები პირდაპირ მოუწოდებენ მთავრობებს, რომ მხარში დაუდგნენ მედია საშუალებებს, რადგან კორონა ვირუსის ფონზე უმნიშვნელოვანესია რომ მოხდეს საზოგადოების ინფორმირება სწორად და ყველა იმ საჭირო ინფორმაციით, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების სწორ ინფორმირებულობას.

მედიის სფეროს წარმომადგენლები ითხოვენ საგადასახადო პოლიტიკის გადახედვას. ჯგუფის შეხვედრისას გამოიკვეთა შესაბამის უწყებებთან შეხვედრის აუცილებლობა. ჯგუფი მოამზადებს წერილს, საპასუხისმგებლო ორგანოებისთვის, რათა გაიმართოს სამუშაო ფორმატის შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და არსებული პრობლემები.

შეხვედრის მდივანი  
ქეთევან ჭურაძე